

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს სხდომის
ოქმი

15 მაისი, 2017 წელი

ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მისამართი:
ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ 36
სხდომის დაწყების დრო: 10:00

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: ზაზა ხატიაშვილი (თავმჯდომარე),
ირაკლი ყანდაშვილი, დავით ასათიანი, გიორგი თევზაძე, მამუკა ნოზაძე, დათუნა მოდებაძე,
ცისმარი ონიანი

დღის წესრიგი:

1. ასოციაციაში გაწევრიანება: ნიკა კუტალია, ნინო ხუციშვილი, ზურაბ ნაცვლიშვილი, თამარი სორდია, გვანცა საკანელაშვილი, ნინო გოლიაძე, ნინელი გოგოტიშვილი, ეგროსი ახალაია, სალომე მესხი, თეა ბანცაძე, კონსტანტინე თელია, ვახტანგ იაშვილი.
2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება: კახაბერ დოდაშვილი, ზაზა ნაჭყებია, ნატო მუხიგულაშვილი
3. ადვოკატის პროფესიაში შესვლის სავალდებულო სტაჟირების პროგრამის წესების, ადვოკატის პროფესიაში შესვლის სავალდებულო სტაჟირების კონცეფციის, ცხრათვიანი სტაჟირების პროცესში სავალდებულო პროგრამის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, ასოციაციის წევრის/მენტორის და სტაჟიორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმის პროექტის დამტკიცება-მომხსენებელი ირაკლი ყანდაშვილი
4. სხვადასხვა

გადაწყვეტილება: საქართველოს „კანონის ადვოკატთა“ შესახებ, მე-10 მუხლის შესაბამისად, დამსწრე წევრთა ერთხმივი გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილებულ იქნას შემდეგი განცხადებები

გაწევრიანების შესახებ: ნიკა კუტალია, ნინო ხუციშვილი, ზურაბ ნაცვლიშვილი, თამარი სორდია, გვანცა საკანელაშვილი, ნინო გოლიაძე, ნინელი გოგოტიშვილი, ეროსი ახალაია, სალომე მესხი.

გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს თეა ბანცაძის განცხადება გაწევრიანების შესახებ. განცხადების ავტორს წერილობით ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების და მისი გასაჩივრების წესის შესახებ.

გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს კონსტანტინე თელიას განცხადება ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ. განცხადების ავტორს წერილობით ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების და მისი გასაჩივრების წესის შესახებ.

გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს ვახტანგ იაშვილის განცხადება გაწევრიანების შესახებ. განმცხადებელს წერილობით ეცნობოს გადაწყვეტილების თაობაზე; ასევე, განემარტოს აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრების წესის შესახებ.

გადაწყვეტილება: საქართველოს „კანონის ადვოკატა“ შესახებ, მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილებულ იქნას ხელახლა გაწევრიანებისთვის წარმოდგენილი განცხადებები: კახაბერ დოდაშვილი, ზაზა ნაჭყებია, ნატო მუხიგულაშვილი.

გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატის პროფესიაში შესვლის სავალდებულო სტაჟირების პროგრამის წესები, ადვოკატის პროფესიაში შესვლის სავალდებულო სტაჟირების კონცეფცია, ცხრათვიანი სტაჟირების პროცესში სავალდებულო პროგრამის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, ასოციაციის წევრის/მენტორის და სტაჟიორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი წარმოდგენილი სახით (დანართები 1, 2, 3, 4).

გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ) მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

ზაზა ხატიაშვილი

ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა
ასოციაციის თავმჯდომარე